



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 299 2014 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი

„მიზნობრივი სოციალური პროგრამის „სოციალური სახლის“  
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს  
№211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის  
მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიზნობრივი სოციალური  
პროგრამის „სოციალური სახლის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს  
მთავრობის 2013 წლის 16 აგვისტოს №211 დადგენილებაში  
([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 19/08/2013, 280120000.10.003.017378) შეტანილ იქნეს  
ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მიზნობრივი  
სოციალური პროგრამის „სოციალური სახლის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი  
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვროს 2014 წლის 31  
დეკემბრამდე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ნ.

ირაკლი ღარიბაშვილი

